

## გოდერძის უღელტეხილის გეოლოგია და გაქვავებული ტყის წარმოშობის პირობები

ირაკლი სხირტლაძე  
[Irakli.skhirtladze471@ens.tsu.edu.ge](mailto:Irakli.skhirtladze471@ens.tsu.edu.ge)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოლოგიის  
დეპარტამენტი, უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი

გოდერძის უღელტეხილი ადმინისტრაციულად ხულოს რაიონში შედის და ზღვის დონიდან 1600–2100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს; მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს შუაეოცენის ძლავრი ვულკანოგენ–დანალექი წყება წარმოდგენილი ტუფებით, ტუფობრექციებით, ტუფოკონგლომერატებით და შიგა ფორმაციული მცირე სიმძლავრის ანდეზიტური და ბაზალტური შედგენილობის ლავური განფენებით. უშუალოდ უღელტეხილის არეალში შუაეოცენური წარმონაქმნები სტრატეგრაფიული ხარვეზით იფარება გვიანმიოცენურ–ადრეპლიოცენური ვულკანოგენ–დანალექი წყებით, რომელიც გეოლოგიურ ლიტერატურაში გოდერძის წყების სახელით არის ცნობილი; ლითოლოგიური ნიშნით წყება ორ წყებად იყოფა: ქვედა–პიროკლასტური და ზედა–ლავური; პიროკლასტური ქვეწყება წარმოდგენილია ფერფლის ტუფებით, ტუფობრექციებით, ტუფოკონგლომერატებით, რომელიც მდ.აჭარისწყლის ეროზიული მოქედების წყალობით სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების ხელსაყრელ პირობებს ქმნის; წყების სიმძლავრე 1 კმ–ია; მას სტრატეგრაფიული თანხმობით აგრძელებს ეფუზიური წყება–წარმოდგენილი ანდეზიტური და დაციტური შედგენილობის მძლავრი ლავური ნაკადებით; წყებებს შორის კონტაქტი კარგად ჩანს მწვერალ ზამბორის მიდამოებში; უფრო აღმოსავლეთით–კერძოდ ფერსათის პლატოს ჭრილში შუაეოცენურ ვულკანოგენებს, პიროკლასტური წყების არ ასეობის პირობებში, უთანხმოს აგრძელებს ფერსათის პლატოს ამგები ანდეზიტური და დაციტური შედგენილობის ლავური ნაკადები; წყების პიროკლასტური ნაწილი მდიდარია გაქვავებული ხეებით, რომელიც მთელ მსოფლიოში მომატებული აქტიური ვულკანური მოქმედების არეალებში გვხვდება; ის ჩნდება მცენარეული მასალის კაჟმიწით ჩანაცვლების გზით და წარმოდგენილია ოპალით–კვარცის ამორფული ფორმით; ხშირ შემთხვევაში ხის სტრუქტურა შენარჩუნებულია.

